მოგების გადასახადი, რომელიც წარმოქმნილია დივიდენდების გადანაწილების შედეგად, აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდება, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გადაიხდება.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). გაყიდვებთან დაკავშირებული წარმოებულ ღირებულებაზე დამატებული გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახადელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადასახადელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიდება 5 - 10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელთა დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა 20% ან მეტია.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები. 2015 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რომლის თანახმად, გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები ყველა გადასახადის მიხედვით, მოგების გადასახადის ჩათვლით და გადასახადის გადამხდელის ყველა გადასახადის აღრიცხვა მოხდება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარმოდგენილი იქნა წმინდა საფუძველზე 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები აისახება როგორც გადახდილი ავანსი და სხვა მოთხოვნები, ან სავაჭრო და სხვა ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი. ხელფასის, სარგოს, საპენსიო ფონდში შენატანის, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსების, გამოუყენებელი შვებულების დღეებისა და სხვა არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან შრომითი საქმიანობის შემდგომი სარგებლის გადახდები.

5 ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობისა და განსჯის მთავარი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მოძველების, ფიზიკური ცვეთის და იმ ფიზიკური გარემოს შესაბამისად, სადაც აქტივი ოპერირებს. ამ რომელიმე პირობების ან შეფასების ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს კორექტირებები სამომავლო ცვეთის განაკვეთებისთვის.

6 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	2019 წლის 31 დეკემბერი		2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მშობელი საწარმო	მშობელი საწარმო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 8)	446	2,394	360	418
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 10)	-	-	-	(6)

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თანხები შემდეგია:

	2019	2018
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ამონაგები	3,493	2,615
პროფესიული ხარჯი	(92)	(24)
ფინანსური შემოსავალი	(72)	-

შპს ბუქინგ-კომ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2019 წლის 31 დეკემბერი

(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში მოძრაობები შემდეგია:

<i>ქართული ლარი</i>	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და მოწყობილობები	საიჯარო გაუმჯობესებები	სულ
ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	117	114	-	231
დაგროვილი ცვეთა	(43)	(87)	-	(130)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	74	27	-	101
დამატებები	55	-	79	134
ცვეთის ხარჯი	(26)	(5)	-	(31)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	103	22	79	204
ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	172	114	79	365
დაგროვილი ცვეთა	(69)	(92)	-	(161)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	103	22	79	204
დამატებები	136	-	685	821
ცვეთის ხარჯი	(52)	(5)	(78)	(135)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	187	17	686	890
ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	308	114	764	1,186
დაგროვილი ცვეთა	(121)	(97)	(78)	(296)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	187	17	686	890

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებიდან (შენიშვნა 6)	2,840	360	418
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	2,840	360	418
გადახდილი ავანსები	-	27	25
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,840	387	443

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არც გაუფასურებულია და არც ვადაგასული.

2019 წლის 1 თებერვალს Priceline Group Treasury Company B.V. (PGTC) და ბუქინგ.ქომ ჯორჯიამ გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის მიზანი იყო ფულადი სახსრების მართვის ოპტიმიზაცია ჯგუფში შემავალი კომპანიებისთვის. Priceline Group Treasury Company B.V. არის შიდა ბანკი, რომელიც ცენტრალიზებული ანგარიშიდან იღებს და გასცემს თანხებს ბუქინგ.ქომ ჯორჯიას სახელით. ყოველი თანხის მიღებისას ან გაცემისას, კომპანიას წარმოეშვება შიდა ჯგუფური ვალდებულება ან მოთხოვნა, რომელიც პერიოდის ბოლოს ერთმანეთთან იქვითება.

შიდა ბანკისგან მისაღები თანხა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2,394 ათას ლარს.

9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
მიმდინარე ანგარიშები	167	1,547	1,391
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	167	1,547	1,391

მოთხოვნისთანავე დასაფარი საბანკო ნაშთები ინახება ბანკებში, რომლებსაც აქვთ „BB-“ საკრედიტო რეიტინგი Fitch Ratings- ის მიხედვით.

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულება

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	3	12	-
სხვა ვალდებულებები	96	62	19
სხვა ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან (შენიშვნა 6)	-	-	6
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	99	74	25
დარიცხული დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯები	53	51	40
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	152	125	65

11 ამონაგები

	2019	2018
ამონაგები მარკეტინგული მომსახურებიდან	3,493	2,615
სულ ამონაგები	3,493	2,615

ამონაგები წარმოიქმნება მარკეტინგული მომსახურების გაწევით Booking.com B.V.-სთვის 2015 წლის 28 დეკემბრის მომსახურების შეთანხმების საფუძველზე.

12 დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი

	2019	2018
ხელფასები და სარგო	415	313
გაცემული ფასდაკლებები	70	38
ბონუსები	67	60
სხვა სარგებელი	61	34
რელოკაციის დანახარჯები	30	70
სულ დასაქმებულთა ხარჯი	643	515

13 სხვა საოპერაციო ხარჯი

	2019	2018
კონფერენციის ხარჯი	26	14
ტრანსპორტირების ხარჯი	35	-
დასუფთავების ხარჯი	16	9
საოფისე მარაგები	6	36
კომუნალური ხარჯი	7	10
ბანკის საკომისიო	2	6
სხვა ხარჯები	11	4
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	103	79

14 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა ზოგჯერ სასამართლოში შეიტანონ სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული რჩევის საფუძველზე ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ სარჩელებთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი არ იქნება არსებითი ან იმაზე მეტი, ვიდრე წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში გათვალისწინებული ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება.

14 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში..

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა ხელმძღვანელობის მიერ გადაფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღრიცხულია მოგების გადასახადის პოზიციებზე, რომლებიც, ხელმძღვანელობის მოსაზრებით, დამატებითი გადასახადების დარიცხვის მიზეზი შეიძლება გახდეს იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანო გაასაჩივრებს ამ პოზიციებს.

შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც ძალაშია ან საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის იქნება ძალაში შესული. ჯარიმების, პროცენტისა და მოგების გადასახადის გარდა, გადასახადების ვალდებულებები აღიარებულია ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებაზე დაყრდნობით, რომელიც ეხება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო დანახარჯებს.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მას ადეკვატური უზრუნველყოფა აქვს საგადასახადო ვალდებულებებისთვის და ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოსაყენებელი ინტერპრეტაციების მიმართ. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები, შესაძლოა იყოს განსხვავებული და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუკი ორგანოები წამატებით მოიყვანენ მოქმედებაში მათ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვა ვითარდება და სამთავრობო ორგანოების სააღსრულებო პოზიცია მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს გარემოსდაცვითი რეგულაციებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. როგორც კი ვალდებულებები განისაზღვრება, ისინი დაუყოვნებლივ აღიარდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას არსებულ რეგულაციების, სამოქალაქო დავების და კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად, არ შეიძლება იყოს შეფასებული, თუმცა შესაძლოა იყოს არსებითი. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო კლიმატის პირობებში, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოზე მიყენებული ზიანისთვის.

15 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წელს მსოფლიოში გავრცელდა ახალი დაავადება COVID-19. მსოფლიო ქვეყნების უმეტესობამ შემოიღო შემზღუდველი ზომები, რამაც ეკონომიკურ საქმიანობაში რხევები გამოიწვია.

კომპანიას მიაჩნია, რომ ვირუსის გავრცელება არის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენა. ამ ეტაპზე, კომპანიის შედეგები არ შეიცვლება ხარჯების ანაზღაურების პრინციპიდან გამომდინარე. ამ მომენტისთვის, შიდა კომპანიის სტრუქტურა უცვლელია, თუმცა მოსალოდნელია, რომ COVID-19 შეცვლის კომპანიის სტრუქტურას. შიდა კომპანიები უცვლელი რჩებიან, და კომპანიას აქვს მოლოდინი რომ მიიღებს ანაზღაურებას გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

შპს ბუქინგ.ქომ ჯორჯია

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ები) მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

ილიკა ბერიძე

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

1	ზოგადი ინფორმაცია.....	5
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	5
3	მომზადების საფუძველი	5
4	სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
5	ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობისა და განსჯის მთავარი წყაროების შესახებ.....	10
6	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	11
7	ძირითადი საშუალებები	12
8	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
9	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13
10	სავაჭრო და სხვა ვალდებულება	13
11	ამონაგები.....	14
12	თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	14
13	სხვა საოპერაციო ხარჯი.....	14
14	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	14
15	საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

ქეთევან ჭეიშქაძე

შპს ბუქინგ-კომ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 (თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	890	204	101
სულ გრძელვადიანი აქტივები		890	204	101
მოკლევადიანი აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,840	387	443
სხვა საგადასახადო მოთხოვნები		12	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	167	1,547	1,391
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,019	1,934	1,834
სულ აქტივები		3,909	2,138	1,935
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		360	360	360
გაუნაწილებელი მოგება		3,397	1,615	1,461
სულ კაპიტალი		3,757	1,975	1,821
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	10	152	125	65
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		-	38	49
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		152	163	114
სულ ვალდებულებები		152	163	114
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,909	2,138	1,935

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2020 წლის 1 ოქტომბერს:

ანდრეა დ'ამიკო
 დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-15 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური
 ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

¹
 ჩიოკა ნეიშვილი

შპს ბუქინგ-ქომ ჯორჯია
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 (თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
	11Error! Referenc e source not found.		
ამონაგები		3,493	2,615
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	12	(643)	(515)
ქირავნობის ხარჯები		(368)	(121)
პროფესიული ხარჯები		(170)	(133)
მივლინების ხარჯები		(166)	(53)
ცვეთის ხარჯი		(135)	(31)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(94)	(37)
უსაფრთხოების ხარჯები		(53)	(46)
კომუნიკაციის ხარჯები		(48)	(43)
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(103)	(79)
საოპერაციო მოგება		1,713	1,557
საპროცენტო შემოსავალი		72	-
მოგება/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		(3)	6
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,782	1,563
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(128)
წლის მოგება		1,782	1,435
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული მოგება		1,782	1,435

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-15 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ბუქინგ-ქომ ჯორჯია
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 (თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	360	1,461	1,821
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,281)	(1,281)
წლის წმინდა მოგება	-	1,435	1,435
სულ წლის სრული მოგება	-	1,435	1,435
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	360	1,615	1,975
წლის წმინდა მოგება	-	1,782	1,782
სულ წლის სრული მოგება	-	1,782	1,782
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	360	3,397	3,757

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-15 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური
 ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ბუქინგ.კომ ჯორჯია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე		1,782	1,563
შესწორებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7	135	31
საპროცენტო შემოსავალი		(72)	-
მოგება/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		3	(6)
საოპერაციო ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე:		1,848	1,588
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(2,453)	56
ზრდა ნეტო საგადასახადო აქტივებში		(26)	(11)
ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		27	60
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(2,452)	105
მიღებული პროცენტი		47	-
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(128)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(557)	1,565
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების შეძენა		(821)	(134)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(821)	(134)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან გადახდილი დივიდენდები		-	(1,281)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		-	(1,281)
შემცირება/ზრდა ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, ნეტო		(1,378)	150
გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(2)	6
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,547	1,391
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წლის ბოლოს		167	1,547

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-15 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს ბუქინგ.ქომ ჯორჯია (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2015 წლის 9 იანვარს და მისი ადგილმდებარეობა საქართველოშია. კომპანია დაფუძნებულია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი იყო Booking.com B.V..

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მარკეტინგული სერვისების მიწოდება Booking.com B.V.-სთვის (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ბუქინგ.ქომ-ის პოპულარიზაციით საქართველოში არსებულ საცხოვრებელ ფართებზე) 2015 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით.

მიწოდებული სერვისების ღირებულება დაანგარიშდება, როგორც:

- მიმდინარე პერიოდში დარიცხული დანახარჯები 5%-იანი ფასნამატით;
- Booking.com-ის მიერ საქართველოს ტერიტორიიდან შემოსული საკომისიო თანხების 2%.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ლეონიძის ქ. 2, 0105, თბილისი, საქართველო.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მომზადების საფუძველი

განაცხადი შესაბამისობაზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებებია, რომლებიც მომზადდა ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საერთაშორისო სტანდარტებთან (მსს ფასს-ების) შესაბამისად. კომპანიამ იყენებს მსს ფასს-ების 35-ე პუნქტს „მსს ფასს-ებზე გადასვლა“. კომპანიის ამ სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. მსს ფასს-ები, რომელიც ექვემდებარება გარკვეულ გამონაკლისებს, მოითხოვს 2018 წლის 31 დეკემბრიდან ძალაში შესული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ვერსიის რეტროსპექტიულ გამოყენებას მსს ფასს-ების მიხედვით ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგების მომზადებისას 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ყველა მსს ფასს-ების ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილი პერიოდების განმავლობაში.

ფასს-ების მსს-სთვის პირველად მიღება. ადგილობრივი კანონმდებლობით, ფასს-ებზე მსს-სთვის გადასვლის დღემდე, კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და წარსულში მას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, შეჯერება და იმის განმარტება, თუ როგორი გავლენა იქონია ადრინდელი საადრინდებო ჩარჩოდან ფასს-ებზე მსს-სთვის გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგზე და ფულად ნაკადებზე, არ არის

ქეთევან ჭყუაძე

3 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

წარმოდგენილი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში. მსს ფასს-ებზე გადასვლამდე, კომპანია აწარმოებდა ისეთი ჩანაწერებს, რომლებიც გარკვეულწილად საგადასახადო რეგულაციებზე დამყარებულ პოლიტიკას ემყარებოდა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, კომპანიამ გამოიყენა სავალდებულო გამონაკლისები და არ აირჩია რეტროსპექტიული გამოყენებიდან რაიმე სახის სხვა გამონაკლისების გამოყენება.

კომპანიას არ გამოუყენებია ზოგადი გამონაკლისები, რომლებიც დაკავშირებულია მსს ფასს-ების 35.11 მიხედვით ერთი ან მეტი გამოყენებადი კორექტირებების საწარმოსთვის არაგამოყენებადობასთან.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“ლ”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადაანგარიშდება ლარში, თარიღისთვის არსებული კურსით. ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში აღრიცხულია ტრანზაქციის თარიღზე არსებული სავალუტო კურსით. შემოსულობა და ზარალი, რომელიც გამოწვეულია მსგავსი ტრანზაქციების ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშებიდან, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან დანახარჯები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია უცხოური ვალუტის ნაშთების კონვერტაციისთვის იყო აშშ დოლარი (“USD”) 1 = ლ 2.8667 და ევრო (“EUR”) 1 = ლ 3.2095 (2018 წლის 31 დეკემბერი : აშშ დოლარი 1 = ლ 2.6766 და ევრო 1 = ლ 3.0701; 2018 წლის 1 იანვარს: აშშ დოლარი 1 = ლ 2.5922 და ევრო 1 = ლ 3.1044). არსებობს სავალუტო შეზღუდვები და სავალუტო კონტროლი, რომელიც დაკავშირებულია ლარის სხვა ვალუტებში გადაყვანასთან. ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს საზღვრებს გარეთ.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან დაგროვილი გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტი და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

შემოსულობები და ზარალი გასვლისას განისაზღვრება შემოსულობების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „სხვა საოპერაციო ხარჯი, წმინდად“ ნაწილში.

ბუქინგ-ქომ ჯორჯია

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, სანამ არ გადააჭარბებს გადაფასების ნამეტს კაპიტალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი ანულირდება საჭიროებისამებრ, თუ ამ აქტივის გამოყენების ღირებულების და რეალური ღირებულების განსაზღვრად გამოყენებულ დაშვებებში მოხდა რაიმე ცვლილება, შემცირებული გასვლის ხარჯებით.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების მუხლებს ცვეთა ერიცხებათ მათი დამონტაჟების და გამოყენებისთვის მზადყოფნის დღიდან.

ძირითადი საშუალებების სხვა მუხლებს ცვეთა დაირიცხება ისე, რომ აქტივების ღირებულება, შემცირებული მათი ნარჩენი ღირებულებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში გადანაწილდეს, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

სასარგებლო მომსახურების ვადა

ოფისის აღჭურვილობა
ავეჯი და მოწყობილობები
საიჯარო გაუმჯობესებები

3 - დან 5 წლამდე
3 - დან 5 წლამდე
3 - დან 7 წლამდე

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივების განხილვა, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, ხორციელდება გაუფასურებაზე თუ მოვლენები და გარემოებების ცვლილებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება არ არის ამოღებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხისთვის, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც, ძირითადად, დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა ხდება (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების (გუდვილის გარდა) ადრინდელი გაუფასურებები ყოველი საანგარიშგებო თარიღით განიხილება, შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით. შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება იმის განსაზღვრად, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ ანაზღაურდება. თუ ეს ასეა, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულება. სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ქეთევან ზეიწყაშვილი

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა. ის იჯარები, რომლებშიც მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი მეიჯარის მიერ არის შენარჩუნებული, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარით გადახდილი განხორციელებული გადახდები (მეიჯარისგან მიღებული რაიმე სახის წამახალისებლების გამოკლებით) დაირიცხება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით ფინანსურ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიის განუსაზღვრელ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში არსებულ კაპიტალის ოდენობას. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის გაცხადებულ კაპიტალში ცვლილებები მხოლოდ აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს.

ამონაგების აღიარება. ამონაგები აღიარდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოღინების ალბათობა. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საქონლის დაბრუნების, ფასდაკლების, მოცულობითი ფასდათმობებისა და დღგ-ის გარეშე.

ქეთევან ჭეიშვილი

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგები მარკეტინგული მომსახურებიდან – ამონაგები მარკეტინგული მომსახურებიდან აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა. ამონაგების დაანგარიშება ხდება შემდეგნაირად:

- Booking.com-ის მიერ საქართველოს ტერიტორიიდან შემოსული საკომისიო თანხების 2%;
- შესაბამის პერიოდში მთლიანი დანახარჯების 105%.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით. მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტ იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოქმნილია დივიდენდების გადანაწილების შედეგად, აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდება, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გადაიხდება.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). გაყიდვებთან დაკავშირებული წარმოებულ ღირებულებაზე დამატებული გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახადელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადასახადელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიხდება 5 - 10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელთა დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა 20% ან მეტია.

ბუქინგ კომ ჯორჯია

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები. 2015 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რომლის თანახმად, გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები ყველა გადასახადის მიხედვით, მოგების გადასახადის ჩათვლით და გადასახადის გადამხდელის ყველა გადასახადის აღრიცხვა მოხდება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარმოდგენილი იქნა წმინდა საფუძველზე 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები აისახება როგორც გადახდილი ავანსი და სხვა მოთხოვნები, ან სავაჭრო და სხვა ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი. ხელფასის, სარგოს, საპენსიო ფონდში შენატანის, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსების, გამოუყენებელი შვებულების დღეებისა და სხვა არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან შრომითი საქმიანობის შემდგომი სარგებლის გადახდები.

5 ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობისა და განსჯის მთავარი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მოძველების, ფიზიკური ცვეთის და იმ ფიზიკური გარემოს შესაბამისად, სადაც აქტივი ოპერირებს. ამ რომელიმე პირობების ან შეფასების ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს კორექტირებები სამომავლო ცვეთის განაკვეთებისთვის.

ბიუჯეტის დირექტორი

6 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	2019 წლის 31 დეკემბერი		2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მშობელი საწარმო	მშობელი საწარმო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა Error! Reference source not found.)	446	2,394	360	418
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 10)	-	-	-	(6)

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თანხები შემდეგია:

	2019	2018
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ამონაგები	3,493	2,615
პროფესიული ხარჯი	(92)	(24)
ფინანსური შემოსავალი	(72)	-

ბიზნესი

შპს ბუქინგ.კომ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2019 წლის 31 დეკემბერი
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში მოძრაობები შემდეგია:

ქართული ლარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობილობები	საიჯარო გაუმჯობესებები	სულ
ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	117	114	-	231
დაგროვილი ცვეთა	(43)	(87)	-	(130)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	74	27	-	101
დამატებები	55	-	79	134
ცვეთის ხარჯი	(26)	(5)	-	(31)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	103	22	79	204
ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	172	114	79	365
დაგროვილი ცვეთა	(69)	(92)	-	(161)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	103	22	79	204
დამატებები	136	-	685	821
ცვეთის ხარჯი	(52)	(5)	(78)	(135)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	187	17	686	890
ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	308	114	764	1,186
დაგროვილი ცვეთა	(121)	(97)	(78)	(296)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	187	17	686	890

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებიდან (შენიშვნა 6)	2,840	360	418
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	2,840	360	418
გადახდილი ავანსები	-	27	25
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,840	387	443

ბუქინგ კომ ჯორჯია

შპს ბუქინგ.ქომ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2019 წლის 31 დეკემბერი
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არც გაუფასურებულია და არც ვადაგასული.

2019 წლის 1 თებერვალს Priceline Group Treasury Company B.V. (PGTC) და ბუქინგ.ქომ ჯორჯიამ გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის მიზანი იყო ფულადი სახსრების მართვის ოპტიმიზაცია ჯგუფში შემავალი კომპანიებისთვის. Priceline Group Treasury Company B.V. არის შიდა ბანკი, რომელიც ცენტრალიზებული ანგარიშიდან იღებს და გასცემს თანხებს ბუქინგ.ქომ ჯორჯიას სახელით. ყოველი თანხის მიღებისას ან გაცემისას, კომპანიას წარმოეშვება შიდა ჯგუფური ვალდებულება ან მოთხოვნა, რომელიც პერიოდის ბოლოს ერთმანეთთან იქვითება.

შიდა ბანკისგან მისაღები თანხა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2,394 ათას ლარს.

9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
მიმდინარე ანგარიშები	167	1,547	1,391
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	167	1,547	1,391

მოთხოვნისთანავე დასაფარი საბანკო ნაშთები ინახება ბანკებში, რომლებსაც აქვთ „BB-“ საკრედიტო რეიტინგი Fitch Ratings- ის მიხედვით.

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულება

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	3	12	-
სხვა ვალდებულებები	96	62	19
სხვა ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან (შენიშვნა 6)	-	-	6
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	99	74	25
დარიცხული დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯები	53	51	40
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	152	125	65

ბიზნესი

შპს ბუქინგ.კომ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2019 წლის 31 დეკემბერი

(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

11 ამონაგები

	2019	2018
ამონაგები მარკეტინგული მომსახურებიდან	3,493	2,615
სულ ამონაგები	3,493	2,615

ამონაგები წარმოიქმნება მარკეტინგული მომსახურების გაწევით Booking.com B.V.-სთვის 2015 წლის 28 დეკემბრის მომსახურების შეთანხმების საფუძველზე.

12 დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი

	2019	2018
ხელფასები და სარგო	415	313
გაცემული ფასდაკლებები	70	38
ბონუსები	67	60
სხვა სარგებელი	61	34
რელოკაციის დანახარჯები	30	70
სულ დასაქმებულთა ხარჯი	643	515

13 სხვა საოპერაციო ხარჯი

	2019	2018
კონფერენციის ხარჯი	26	14
ტრანსპორტირების ხარჯი	35	-
დასუფთავების ხარჯი	16	9
საოფისე მარაგები	6	36
კომუნალური ხარჯი	7	10
ბანკის საკომისიო	2	6
სხვა ხარჯები	11	4
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	103	79

14 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა ზოგჯერ სასამართლოში შეიტანონ სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული რჩევის საფუძველზე ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ სარჩელებთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი არ იქნება არსებითი ან იმაზე მეტი, ვიდრე წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში გათვალისწინებული ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება.

ქეთევან ჭყიუშვილი

14 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში..

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა ხელმძღვანელობის მიერ გადაფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღრიცხულია მოგების გადასახადის პოზიციებზე, რომლებიც, ხელმძღვანელობის მოსაზრებით, დამატებითი გადასახადების დარიცხვის მიზეზი შეიძლება გახდეს იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანო გაასაჩივრებს ამ პოზიციებს.

შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც ძალაშია ან საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის იქნება ძალაში შესული. ჯარიმების, პროცენტისა და მოგების გადასახადის გარდა, გადასახადების ვალდებულებები აღიარებულია ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებაზე დაყრდნობით, რომელიც ეხება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო დანახარჯებს.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მას ადეკვატური უზრუნველყოფა აქვს საგადასახადო ვალდებულებებისთვის და ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოსაყენებელი ინტერპრეტაციების მიმართ. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები, შესაძლოა იყოს განსხვავებული და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუკი ორგანოები წამატებით მოიყვანენ მოქმედებაში მათ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვა ვითარდება და სამთავრობო ორგანოების სააღსრულებო პოზიცია მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს გარემოსდაცვითი რეგულაციებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. როგორც კი ვალდებულებები განისაზღვრება, ისინი დაუყოვნებლივ აღიარდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას არსებულ რეგულაციების, სამოქალაქო დავების და კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად, არ შეიძლება იყოს შეფასებული, თუმცა შესაძლოა იყოს არსებითი. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო კლიმატის პირობებში, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოზე მიყენებული ზიანისთვის.

15 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წელს მსოფლიოში გავრცელდა ახალი დაავადება COVID-19. მსოფლიო ქვეყნების უმეტესობამ შემოიღო შემზღუდველი ზომები, რამაც ეკონომიკურ საქმიანობაში რხევები გამოიწვია.

კომპანიას მიაჩნია, რომ ვირუსის გავრცელება არის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენა. ამ ეტაპზე, კომპანიის შედეგები არ შეიცვლება ხარჯების ანაზღაურების პრინციპიდან გამომდინარე. ამ მომენტისთვის, შიდა კომპანიის სტრუქტურა უცვლელია, თუმცა მოსალოდნელია, რომ COVID-19 შეცვლის კომპანიის სტრუქტურას. შიდა კომპანიები უცვლელი რჩებიან, და კომპანიას აქვს მოლოდინი რომ მიიღებს ანაზღაურებას გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

ბიჯან ბეიუშვილი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N200782525



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

01.10.2020 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სალომე სალუქვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული,
კომერციული ფართი #4, 3ა

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

597999990

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

52432250527920




ორიათას ოცი წლის პირველ ოქტომბერს მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციულ ფართი #4, 3ა-ში, გამოცემულ თარგმანის ქვეყანაზე ზეუბრეწვის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს ბუქინგ.ქომ ჯორჯია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ები) მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება 2019წლის 31 დეკემბერი, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.

გადახდილია საბაჟო: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებებისათვის საბაჟოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 34.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონული რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 36(ოცდათექვსმეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადაცემის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარწმუნდეთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



საგარეო საგანმანათლებლო
უწყვეტი განათების სამსახური